ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 24 ივლისის №3369/02 წერილის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მახინჯაურში მდებარე, 323,0 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებულ №01 შენობის მეორე სართულზე განთავსებული 27,90 კვ.მეტრი ფართის მქონე ბინა 19, მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 22.01.01.377.01.019) ერთად.
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში მიღებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო“-ს 2024 წლის 12 აგვისტოს №01-01-10/6985 (№04-142422548-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის №285 ბრძანებით შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2023 წლის 20 ოქტომბრის №36 ოქმით, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის I შესახვევი №19-ში (წინა მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. მახინჯაური, დ/ს „ნარინჯი“, საერთო საცხოვრებელი) მდებარე უძრავ ქონებაში (დაუზუსტებელი ს/კ 22.01.01.231 - ს/კ 22.01.01.377) №01/2 შენობა - ნაგებობის მე-2 სართულზე არსებული ბინა №19 - 27,90 კვ.მ. საერთო ფართის ფაქტობრივი მფლობელის (ს.ბ.) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. აღინიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ფართის სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში არსებობს კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი და აქედან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების - ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ მახინჯაურში მდებარე უძრავი ქონების №01 შენობის მე-2 სართულზე არსებული ბინა №19 27,90 კვ.მ. საერთო ფართი (ს/კ: 22.01.01.377.01.019) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 13 აგვისტოს №14-1424226478 მიმართვის საფუძველზე, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს 2026 წლის 17 ივნისის №1/1-5333 ბრძანებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა დამატებითი ქონების სახით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მახინჯაურში მდებარე უძრავი ქონების მეორე სართულზე არსებული ბინა №19 - ფართით 27,90 კვ.მ. და მასზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 22.01.01.377.01.019), შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.

ამჟამად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 24 ივლისის №3369/02 (№07-1426205221-14) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად

რეგისტრირებული, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მახინჯაურში მდებარე უძრავი ქონების N01 შენობის მე-2 სართულზე არსებული 27,90 კვ.მ. ბინა №19 (ს/კ: 22.01.01.377.01.019) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში, მისი ფაქტობრივ მფლობელის, ს. ბ. - სათვის გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მახინჯაურში მდებარე, 323,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებულ №01 შენობის მეორე სართულზე განთავსებული 27,90 კვ.მ. ფართის მქონე ბინა 19-ის, მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთთან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №22.01.01.377.01.019) ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**